# საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1-99

ქ.თბილისი „07" 07 2011 წ"

**შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ს მიერ წარმოდგენილ „მესტიაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსების" საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „პ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – დაბა მესტიაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსებაზე;
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№12; 04.07.2011წ) გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* შპს “საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია”-ს განცხადება (№16-11/1396; 14.06.2011წ), ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №12; 04.07.2011წ. და ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე

მინისტრი

*ეგზავნება: ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტს, ნებართვის მიმღებ სუბიექტს.*